სამშაბათი, მაისის 6 1919 წ. ფასი 1 მანეთი. № 79

ჩვენი ქვეყანა

წელიწადი მესამე

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოლხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოეულ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ანა სტეფანეს ასული ოცხელისა, დები სოფიო ივანეს ასული პოლოლიკაშვილისა და ნინო ივანეს ასული სააკაშვილისა, ძმები სიმონ, დავით და კოსტანტინე ივანეს ძენი ოცხელნი, რძალი ლუკრეცია ანტონის ასული ოცხელისა და სიძე პეტრე ზაქარიას ძე სააკაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 6 მაისს დილის 10 საათზე ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარის

იოსებ ივანეს ძე ოცხელის

სულის მოსახსენებლად. 3—3

ქუთაისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია აუწყებს საზოგადოებას, რომ 6 მაისს, სამშაბათს ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ამავე გიმნაზიის დირეკტორის განსვენებულ ს

იოსებ ივანეს ძის ოცხელის

სულის მოსახსენებლათ.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 2—2

---

3 მაისს დღით შაბათს ქ. ქუთაისში ტრადიციულათ გარდაიცვალა

რაჟდენ ფილიპეს ძე

ჭარხალაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით გაუწყებენ მეუღლა გარდაცვალებულისა ნინა ჭკუასელის ასული, შვილები: ჟენია და ნუცა, ძმები: ტროფიმე და ილიკო, რძლები: ივლიტა და კესარია, სიძეები: მღვდელი სამსონ ირემაძე, გერასიმე ბოჭორიშვილი და სამსონ ნიშნიანიძე, დები: ელენა, ვერა და ეფროსინა ნიშნიანიძისა, დისწულები: მარუსა ჩხეიძისა და გრიგოლ ნიშნიანიძე გამოსვენება ამა მაისის 6 დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, მესხეთის ქუჩაზე საკუთარ სახლებში. დაკრძალვა მთავარ-ანგელოზის ეკლესიაზე. 1—1

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი და გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს 6 მაისს კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

იოსებ ივანეს ძე ოცხელის

სულის მოსახსენებლად.

ილარიონ ანტონის ძე ხაზარაძე, მეუღლე მისი **გულჩინა გაიოზის ასული შვილებითურთ** უღრმეს მადლობას სწირავენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომელთაც სიტყვიერათ, წერილობით და დეპეშებით თავისი თანაგრძნობა გამოუცხადეს უნუგეშო მწუხარებაში მყოფ ჭირისუფლებს პირველთა უსაყვარლესი შვილის და მეორეთა დაუვიწყარი ძმის სტუდენტ

ანტოშა ილარიონის ძე ხაზარაძის

უდროოთ გარდაცვალების გამო. 1—1

ქუთაისის ქალაქის გამგეობის საექიმო-სასანიტარო

განყოფილება ამით აცხადებს

მოქალაქეთა საყურადღებოთ,

რომ ამ დღეებში ქალაქის სასანიტარო რაზმი შეუდგება ეზოების გაწმენდას. განყოფილება სთხოვს იმ პირთ, ვისაც ეზოები გასაწმენდი აქვთ, კეთილინებონ და შემობრძანდენ გამგეობაში ჯეროვანი ბარათების მისაღებათ.

გამგეობის წევრი **ალ. ჯაფარიძე.**

სასანიტარო ექიმი **ვალ. ლორთქიფანიძე.** 3—2

ქალაქის თეატრი.

ხარასკვეს 9 მაისს 1919 წლისა შესდგება მხოლოდ ერთი **პონცერტი.**

თბილისის სახელმწიფო თეატრის პრემიერის

ტალია ივანეს ასულის საბანიევისა

სახელმწიფო თეატრის პრემიერის **თევდორე ფალიევის** (ბარიტონი) მონაწილეობით.

ბილეთები ამ ოთხითვე იყიდება თეატრის კასაში დილის 10 - 2 საათ. და საღ. 6—8 საათამდის. 6—2

ექიმი **ბიკტორ ნიკიფორეს ძე ხუსკივაძე** ღებულობს ავათმყოფებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 საათამდე. ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი. 24—1

შრომის ხელშეკრულების პროექტი.

ეროვნული დემოკრატია შრომის საკითხს პირობითად სწყვეტს, სოციალ-დემოკრატია კი—არაპირობითად, ე. ი. აბსოლიუტურად.

ჩვენ ვამბობთ: თუ ისტორიულსა და ეკონომიურ პირობებს ანგარიში არ გავუწიეთ, ორივე მხარე წაიგებს დამქირავებელიცა და დაქირავებულიც.

სოციალ დემოკრატია კი ფიქრობს: მუშამ თავისი უნდა მოითხოვოს და აასრულოს, სულ ერთია, რა დროსა და გარემოებაშიაც უნდა მუშაობდეს.

კარლ მარქსი იმას, ვინც ისტორიულ პირობას ანგარიშს არ აძლევდა აბსოლიუტურ პრინციპს აღიარებდა, მეტაფიზიკოსს უწოდებდა და, მაშასადამე, ცოცხალი რომ ყოფილიყო ახლა, სოციალ-დემოკრატიის მეთოდს უეჭველად დაგმობდა.

და ეროვნული დემოკრატია შრომის პირობათა გაუმჯობესებას კი არ უდგია წინ, არამედ ფიქრობს, რომ ეს საქმე საერთაშორისო შეთანხმებით უნდა მოეწყოს და თვითეულ ქვეყანაში დროსა და გარემოებას უნდა შეესაბამებოდეს.

შრომის პირობათა გაუმჯობესება, მაშასადამე, ეროვნული წარმოების განვითარების თვალთახედვით უნდა კანონდებოდეს.

და ამ კრიტიკული საზომით თუ განვიხილავთ „შრომის ხელშეკრულობის“ კანონპროექტს, რომელიც შრომის სამინისტროს შეუდგენია, დავინახავთ, რომ რესპუბლიკა ახალი საფრთხის წინაშე დგას.

ამ კანონპროექტის უმთავრესი მანკი ის არის, რომ აკრძალულია მუშის თავისუფლად ქირაობა.

არც დამქირავებელს აქვს უფლება იქირაოს მუშა და არც მუშას აქვს უფლება იმუშაოს ქირით, თუ ამიხთვის ნებართვა შრომის ბირჟის მიერ ბოძებული არ არის.

ერთი სიტყვით, მუშას ნიშნავს შრომის ბირჟა და დამქირავებელს ამის უფლებაც კი არ აქვს, მოითხოვოს რამდენიმე კანდიდატის სია, რომ სასურველი პირი აირჩიოს (§5).

ეს, ცხადია, საშინელი შეკვეთროებაა, როგორც დამქირავებლის, ავრეთვე მუშის თავისუფლების. შეიძლება ითქვას, რომ ეს საჯარო უფლების უარყოფაა და ძველის, კორპორატიულ დროის ნაშთს წარმოადგენს, მუშას არ ექნება უფლება თავისუფლად იმუშაოს, სადაც მოისურვებს, და მაშასადამე ახალი ბატონი გაუჩნდება. მერე როგორი ბატონი: მისი სული ამ ბატონის ხელში იქნება!

გვეტყვიან: ბირჟა მუშათა მიერვე არჩეული იქნება და მაშასადამე მუშათა სურვილებს დაეკვემდებარებაო.

მაგრამ განა არ ვიცით, რომ არჩეული მთავრობა კი ადარავის ემორჩილება, არამედ ბატონობს?!

მაშ რა უფლებით უნდა ჩაიგდოს ხელში ასეთი ძალა შრომის ბირჟამ?! რას მიუზღავს მუშებს თავისუფლების წართმევის ნაცვლად?! ეგრეთწოდებულ მორიგეობის კუდებს?!

დიახ! ამ კანონპროექტით შრომის თავისუფლება განსაცდელშია.

წარმოების ზრდისა და განვითარების თვალთახედვით ხომ ყოვლად შეუწყნარებელია შრომის ასეთი შებორკვა.

მწარმოებელს არ ექნება ნება დაიქი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოს მუშები თავისი სურვილისამებრ. წარმოვიდგინოთ, რომ მას ერთბაშად 100 მუშა დასჭირდა; შრომის ბირჟამ კი მხოლოდ 50 უშოვა. ვინ უნდა მოძებნოს დანარჩენი მუშები?! შრომის ბირჟამ?! ექნება კი ამისთვის ან საშუალება ან ხალისი?!

წარმოვიდგინოთ იმავე დროს, რომ შრომის ბირჟის მიერ დანიშნული მუშები არ გამოდგენ. ვინ გადასწყვეტს დამქირავებელის განცხადების სიმართლეს თუ სიმტყუვნეს?! შრომის ბირჟამ?! რასაკვირველია, ვერა. მაშ შემარიგებელი კომერა?! შესაძლებელია, მაგრამ მაშინ ხომ წარმოება მუდამ შეფერხებული იქნება!

ერთი სიტყვით, ხსენებული კანონპროექტი შრომის თავისუფლებას იმდენად შეავიწროებს და წარმოებას იმდენად შეაფერხებს, რომ მწარმოებელიცა და მუშებიც საქართველოდან აიყრებიან და აძერბეიჯანში გადიხვეწებიან, სადაც თვითეულს მათგანს მეტი თავისუფლება ექნება.

მაშინ კი საქართველო გავერანდება, აძერბეიჯანი კი აყვავდება.

ვახილ წერეთელი.

პრესა.

ორი ტაქტიკა.

გაზ. „ბორბას“ არც სჯერა და არც მისაღებად მიიჩნია პარიზის სამშვიდობო კონფერენციის გადამწყვეტი მნიშვნელობა საერთაშორისო მდგომარეობის მოგვარების საქმეში. ცნობილი გამოთქმა: იმპერიალისტებისაგან დაწყებული ომი დემოკრატიამ უნდა დაამთავროსო, მორიგ ლოზუნგად მიიჩნია გაზეთის დღევანდელ გამწვავებულ ურთიერთობის გამოსაკეთებლად. მაგრამ ამ გამოთქმისა და ამ ლოზუნგის შინაარსიც თურმე სხვა დასხვანაირად ესმის მის ავტორებს. გაზეთი ამბობს.

აქაც ორი სხვადასხვა ხაზია, ორი სხვადასხვა ტაქტიკაა ჰროლეტარულ მასიდან წარმოდგენილი. ერთის მხრით ბოლშევიკური „მესამე ინტერნაციონალი“ მოუწოდებს მასას დაუყონებლივი ჯანყისკენ, აწვდის ჰროლეტარიატს „კლასიურ“ დიქტატურის დამზადებულ ფორმას საბჭოთა ძალა-უფლების სახით, მოუწოდებს სოციალისტურ რევოლუციისაკენ საკუთარის ძალით ამ უმცირესობას, რომ უმრავლესობა თავისკენ მიიმხროს. ამ ტაქტიკით გამართლებულია ყოველგვარი საშუალება თვით ტერორამდე, რათა მიიმხრონ უმრავლესობაც.

მეორე მხრით მუშათა კლასის ბელადები ცდილობენ სოციალური საკითხის და საერთაშორისო ომით გამოწვეულ დიდი პრობლემების გადაჭრას ხალხის უმრავლესობის მიმხრობით სოციალურ შემოქმედებისაკენ და დემოკრატიზმის თანდათანობითი გარდმავებით“.

აი ორი სხვადასხვა გზა, ორი სხვადასხვა ტაქტიკა თვით მუშათა კლასში, თვით იმ „ერთად-ერთ“ ძალაში, რომელმაც უნდა დასწეროს თურმე სამართლიანი ზავი.

ოტო ვეინგერი ამბობდა: შეძავი ქალი და ნიჭიერი პოლიტიკოსი ერთიაო.

მენშევიკების პოლიტიკა უკანასკნელ ხანებში საოცარ ელასტიურსა და ამავე დროს ბუნდოვან სახეს ღებულობს. ენა თითქოს იმიტომ აქვს ამ ხალხს, რომ სიმართლე არ სთქვას, პირდაპირ არ ილაპარაკოს, თორემ ვინ არ იცის, რომ ერთ-ერთში შეუთვისებელ და შეურიგებელ „მასას“ არ შეუძლია გავარარებულ სახელმწიფოების დაშოშმინება და დაზავება?

გერმ. კორესპოდენტები საზ. კონგრესზე.

(საქ. დეპ. სააგ.)

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ გაზ. „ტანი“-ს რედაქციას თავის ბერლინერ ქორესპოდენტისაგან შემდეგი დეპეშა მიეული: ბერლინის და ფრანკფურტის ხუთმა ჟურნალისტმა ნებართვა ძიელო, გერმანიის რწმუნებულებს გაჰყვენ საზავო კონფერენციაზე, ნებართვა მიიღეს „ბერლინერ ტაგებლატის“ თანამშრომლებმა პოლ ბლოკმა, „ფოსიშე ცაიტუნგის“ რელიხმა „ფორვერტს“-ის—სტოფერმა და ბერლინის ახალ „ცაიტუნ ამ მიტაი“-ის ფრიდენგმა. საგულისხმიეროა აღვნიშნოთ, რომ ამათგან 3 ბერლინელი ჟურნალისტი ჩამომავლობით ავსტრიელია. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის წარმომადგენლათ თედორ ფოლფის მაგიერობა პოლ ბლოკმა გასწია, ვოლფი კი ბერლინში წავიდა, რომ გაზეთს სათავეში ჩასდგომოდა ომის დაწყების წინ, რედლიხი ვენის „ფრეიე პრეს“-ის ბერლინელი კორესპონდენტი იყო, წარმომადგენლადაც იყო ბალკანეთში. 1912 წლის ომის დროს ის „ფოსიშე ცაიტუნგის“ კორესპონდენტად იყო, შემდეგ ბერლინში დაბრუნდა და გაზეთის ეხლანდელი რედაქტორის გეორგ ბერნჰანდის მთავარ თანაშემწედ იყო. უკანასკნელ თვეებში ეს გაზეთი საფრანგეთის საწინააღმდეგო მიმართულების შესამცირებელ კომპანიას აწარმოებს, მაშინ, როდესაც ამ მიმართულებას ხელს უწყობენ ბერლინის სხვა გაზეთები ცდილობენ საფრანგეთისადმი მტრული განწყობილება გაუღვიოს მცხოვრებლებს, რადგან საგარეო სამინისტროს ეს მოსწონს.

ინგლისური პრესის ცნობები

(საქ. დეპ. სააგენტო)

იაპონიამ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა კონფერენციაზე. ის თვითონ ამყარებს ჩინეთთან ურთიერთობას, თუმცა მომავალში ამ ორის სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულებები ხალხთა ლიგისაგან იქნება დამოკიდებული. მდგომარეობა იმდენად სუსტი იყო, რაც შეუძლებელს ხდიდა იაპონიის მხრით ახალი მოთხოვნილებათა წამოყენების, რადგან მაშინ, ალბად იაპონელები კონფერენციიდან წავიდოდენ და იაპონია განაგრძობ დაშანდუნის ოკუპაციას, ამიტომ შეადგინეს ისეთი შეთანხმება, რომელიც შეეფერება იაპონიის მოთხოვნილებებს და რომელიც ისე აშკარად არა ხდის იაპონიის მიერ მოპოვებულ გამარჯვებას.

ხალხთა ლიგის პირველი სხდომა შესდგება ოქტომბერს ვაშინგტონში, თეთრი სასახლის აღმოსავლეთ დარბაზში, თუ ის წინადადებები, რომელსაც პრესა გამოსთქვამს მიღებულ იქნა საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, ინგლისელებმა თანხმობა განაცხადეს, ასე რომ ამას თუ სხვა ერებიც მიიღებენ, პირველი სხდომის თავმჯდომარე ვილსონი იქნება.

უკანასკნელი ცნობები.

(საქ. დეპ. სააგენტო).

ფოცხოველების დეპეშა.

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა ფოცხოვიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ფოცხოვის რაიონის ყველა სოფლების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც შესდგა ს. დიდროში (დაესწრო 305 წარმომადგენელი) მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს დამფუძნებელ კრებას და სთხოვს საქართველომ მიიღოს ისინი თავის მფარველობის ქვეშ, რათა ჩვენც მოგვეცეს საშუალება რევოლიუციის მონაპოვარ თავისუფლებით სარგებლობისა.

ადერბეიჯანის წარმომადგენელი.

საქართველოში ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელად დაინიშნა ინჟ. ვეკილოვი.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

† **იოსებ ოცხელს** გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო- დღეს 6 მაისს ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

✦ **წვრილი ერთეულების არჩევნები.** როგორც ვწერდით: ქუთაისის მაზრაში ერობის წვრილი ერთეულების არჩევნები 11 მაისს უნდა მომხდარიყო, ხოლო კანდიდატთა სიების წარდგენა კი არა უგვიანეს 4 მაისისა. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან შევიტყვეთ 4 მაისისათვის მხოლოდ რამდენიმე თემში თუ წარუდგენიათ კანდიდატთა სიები და ზოგიერთ ჰარტიებს კი დღემდის არცერთ თემში არა აქვთ სია წარდგენილი. ამ რიგად მოსალოდნელია არჩევნები 11 მაისისათვის კიდევ არ მოხდეს. ამის შესახებ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გუშინ კრება ჰქონდა.

✦ **ხონის რკინის გზა.** ქუთაისის მაზრის ერობის გამგეობამ ხონის რკინის გზის გამოკვლევა და ხარჯთაღრიცხვა უკვე დაასრულა და გუშინ 5 მაისს სამინისტროში დასამტკიცებლად გაგზავნა. სამინისტროსაგან დასტურების შემდეგ ერობა რკინის გზის გაყვანას შეუდგება. ერობას რკინის გზისათვის საჭირო მასალის ერთი ნაწილი უკვე მიღებული აქვს.

✦ **სიმხვეცე.** როგორც სოფ. ანტორიიდან (ოკრიბა) გვატყობინებენ ადგილობრივ ვაჭარს ისაია ბობხადიას 1 მაისს ღამით თავს დაესხნენ უცნობი ყაჩაღები, წაართვეს 20 ათასი მანეთი ფულად, წაიღეს ყოველგვარი საქონელი. თვით ბაბხადია თან წაიყვანეს. 3 მაისს ხსენებული ბაბხადიას დასახიჩრებული გვამი ნახეს სოფ. ოჯოლის მახლობლად. მისთვის ტანზე ყველაფერი გაეძროთ.

✦ **სამეურნეო პუნქტი.** სამტრედიის რაიონში სოფ. ჯიკთუბანში დაარსდა სამეურნეო პუნქტი.

✦ **წყალტუბოს აბანოები.** წყალტუბოს აბანოების რემონტი უკვე სრულდება. სეზონი მაისის შუა რიცხვებში გაიხსნება, სადაც იქნება მუდმივი ექიმი ავადმყოფების შესამოწმებლად. წყალტუბოს აბანოები ამ ჟამად ერობის ხელშია.

✦ **ქუთაისის მილიცია** ქუთაისის მილიციის უფროსი ვ. სულაქველიძე თბილისს გაემგზავრა ახალი თანამდებობის დასაკავებლად. ქუთაისის მილიციის უფროსის მოვალეობა დროებით დაეკისრა შუა უბნის კომისარს სიმონ მიქელაძეს.

✦ **შაქარი.** საოჯახო სასურსათო კომიტეტები შაქრის დარიგებას უკვე შეუდგენ. თვითეულ სულს მიეცემა 1 გირვანქა შაქარი. გირვანქა ღირს 6 მანეთად.

✦ **სიმინდის ფქვილი.** გუშინ ქუთაისის ბაზარზე ფუთი სიმინდის ფქვილი 12 თუმნად ფასობდა.

✦ **საქსოვი ქარხანა.** ქუთაისის მაზრის ერობის გამგეობა შეუდგა საქსოვი ქარხნის ამუშავებას. საჭირო მატყლი უკვე გამოწერილია. ქარხანა მოთავსებული იქნება პატარა ციხესთან (წყალ-გაღმა უბანში) განზრახულია ქარხანასთან დაარსდეს სპეციალური სკოლა, სადაც გამოცდილი მასწავლებლები შეგირდებს ქსოვას შეასწავლიან.

✦ **წაბლარის ხევის ქარხანა.** წაბლარის ხევის (ბაღდათის რაიონი) ქარანის რემონტი ამ დღეებში დასრულდება, რის შემდეგაც დაიწყება ქარხნის ამუშავება.

✦ **შავი სახადი.** როგორც ბაღდათიდან იტყობინებიან სოფ. გორაში, ინაშაურში და ბზვანში შავმა სახადმა ფეხი მოიდგა. ავადმყოფებს მუსრს ავლებს.

✦ **უბნის კრება.** კვირას 4 მაისს ქვედა საფიჩხიის მცხოვრებლებს კრება ჰქონდათ, რომელზედაც დაადგინეს სამთო უბნის ყოფილი კომისარი ბაქრაძე კვლავ დაუბრუნდეს თავის მოვალეობის შესრულებას. ამის შესახებ არჩეულ იქნა კომისია, რომელიც შუამდგომლობას აღძრავს მთავრობის წინაშე.

✦ **სათეატრო სეზონის დახშვა.** ქართული დრამატიული ანსამბლების დასის საგაზაფხულო სეზონი 15 მაისს დაიხურება.

✦ **უნივერსიტეტი და სკოლები ჯარისათვის.** 1 ქვეითა დივიზიის სამხედრო ინსტრუქტორმა პოლკოვნიკ ართმელაძემ ქალაქის საბჭოში და გამგეობაში მოხსენება წარადგინა. მოხსენებაში ნათქვამია რომ ქუთაისში ჯარისათვის არსდება ჯარისკაცთა უნივერსიტეტი და საგარინზონო სკოლები. ამისთვის სათანადო ზომები უკვე ყოფილა იღებული. მხოლოდ საჭიროა საკუთარი ბინა. ამისთვის პოლკოვნიკი ართმელაძე თავის მოხსენებაში სთხოვს, როგორც გამგეობას ისე საბჭოს დახმარება აღმოუჩინონ.

✦ **ტელეფონების ქსელი ქუთაისის მაზრაში.** თანახმად ქუთაისის მაზრის ერობის ხმოსანთა დადგენილებისა ქუთაისის მაზრა უნდა დაქსელულ ყოფილიყო ტელეფონების ქსელით, რომ რაიონებს ქუთაისთან კავშირი ჰქონოდათ. ერობის გამგეობა ამ საქმის მოწყობას უკვე შეუდგა. ბაღდათისაკენ ტელეფონის მავთულის გაყვანა უკვე სწარმოებს, წყალტუბოსაკენ-ამ დღეებში შეუდგებიან.

✦ **ქალაქის საბჭოში.** დღეს, 6 მაისს სადამოს 7 საათზე ქალაქის თვით მართველობის დარბაზში დანიშნულია ქალაქის საბჭოს სასკოლო-სამკითხველო კომისიის წევრების სხდომა. გასარჩევია სასწრაფო საკითხები. ამ სხდომას მესამედ იწვევენ, მაგრამ ხმოსნები არ ესწრებიან. ასეთი ბედი სხვა კომისიებსაც დასჩემდა. საჭიროა ქალაქის მამებმა მეტი ენერგია გამოიჩინონ ქალაქის საკეთილდღეოდ.

✦ **სია საქ. ერ.-დემ. პარტიის გორის** თემის ერობის წვრილ ერთეულების კანდიდატებისა: 1) ალ. გიორგის ძე ერისთავი 2) ბეს. პავლეს ძე აბრომელიძე, 3) ვლად. დიმიტრის ძე ვაშაყმაძე, 4) ეფროსინე გიორგის ძე სანიკიანი, 5) სერგო გლახუას ძე გამრეკლიძე, 6) ვარდ. ნიკოს ძე ერისთავი 7) ნოე დარისპანის ძე ვაშაყმაძე, 8) ვარდ. ივანეს ძე ლომინაძე, 9) გერმანე ბესარიონის ძე ადეიშვილი, 10) დიმიტრი ესტატის ძე ქარცივაძე, 11) ერძალოზ ნიკოლოზის ძე ენუქიძე, 12) ლევანტი მიხეილის ძე კოპალაძე, 13) სარდიონ კონსტანტინეს ძე ნიკოლეიშვილი. 14) პარმ. ილლიანეს ძე ხუნდაძე, 15) ილლიანე ტარიელის ძე დვალიშვილი, 16) მახ. მერაბის ძე გაჩეჩილაძე, 17) მიხ. ვახტანგის ძე ქარჩხაძე, 18) იუსტინე ივანეს ძე კაპანაძე, 19) ივანე ნიკიტას ძე ბანდარენკო, 20) ნიკ. ბერუს ძე გოცირიძე.

✦ **ხორცი.** ქუთაისის ბაზარზე ხორცი თითქმის აღარ იშოვება. რაც იშოვება ისიც უვარგისია. ყასპები ქალაქის თვითმართველობის დადგენილ ნიხრზე ხორცს არ ჰყიდიან.

ალ. გარსევანიშვილის სიტყვა

თქმული იოსებ ოცხელის დაკრძალვის დღეს მეორე გიმნაზიის ეზოში.

ძლიერმა სხივმა განთიადისამ გაჰფანტა ნისლი, დასძლია ბნელი და ამოვიდა ბრწყინვალე მზე თავისუფლებისა. აღსდგა მკვდრეთით ღვთის მიერ კურთხეული ივერია...

ერი შეუდგა განახლების გზას... და სწორედ ამ დროს, ამ საჭირო დროს ულმობელმა და დაუზოგველმა სიკვდილმა მოგვტაცა ჩვენ ერთი საუკეთესო მამულიშვილი, მაღალი ნიჭით შემკული ქართველი... გარდაიცვალა იოსებ ოცხელი!.. სამუდამოთ მოსცილდა თავის ტურფა სამ-

ბლოს ეს თვალსაჩინო საზოგადო მოღვწე.

ალარა გვყავს მშვიდობიანი და წყნარი ლები. იგი მოკვდა, მის მკერდში აღარ ემს გული... რა ძნელია ამის გამოთქმა ველ შეგნებულ ქართველისათვის.

აუწერელია მის თანამშრომელთა სუ ს კვეთება!.. უსაზღვროა კერძოდ ჩე მწუხარება. განსვენებულში მე დავ რგე ის მეგობარი, რომელთან ერთად ატარე ცხოვრების უკეთესი ხანა... სთან ვმუშაობდი ეკალ-ნარით მოსილ პედაგოგიო ასპარეზზე ოცი წლის განლობაში...

მე ვიცნობდი იოსებ ოცხელს სტუდენობის დროიდან... ვიცი კარგად მისი ესტი და დადებითი მხარეც და ამის მიდვით შემიძლიან ვთქვა, რომ იგი ნაელი პიროვნებაა, ახალგაზდობის ჭეშმაიტი დამრიგებელი და კეთილის მთესელი... ვისაც სურს იოსებ ოცხელის როვნება სამართლიანად დააფასოს, მან ნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურაღება მის დადებითი თვისებებს.

განსვენებული ხშირად მეუბნებოდა ოლმე ლათინურათ: რრარე ჰუმანუმ ესტ. ვარ ადამიანი და შეიძლება ხანდახან დებოდე. უნაკლულოდ ადამიანი ვერც წარმომიდგენიათ.

დიახ, მართალს ამბობდა იოსები. განა ქვეყნად არის ანგელოზის მსგავსი არსება?.. სადაა, მითხარით, უნაკლულო ნმე?.. არსად.

თავი დავანებოთ განსვენებულის შეცომებს და აღვნიშნოთ მისი კეთილი მხარე...

რამ მოაგროვა ეს დიდძალი ხალხი, საც მოხუციც ბევრია და ახალგაზდაც, ქალიც და კაციც... ნუ თუ ცნობის მოყვარეობამ? არა და არა...

თქვენ მოხველით ერთი წრფელი წადილით: უკანასკნელათ პატივი სცეთ იოსებ ოცხელის ხსოვნას. და მუხლი მოიდრიკოთ მის ძვირფას ნეშტის წინაშე.

ყველა თქვენგანი დიდათ სწუხს. ტირის მასწავლებელი და მისი მეგობარი, ტრემლს აფრქვევს მისი მოწაფე, სტირის ნათესავი და ნაცნობი იოსებისა. გლოგობს მთელი ქართველი საზოგადოება.

ამხანაგების მონდობილობით მთლად დავახასიათებ იოსებ ოცხელის პიროვნებას, როგორც მასწავლებლისას.

თავდა-პირველად აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ განსვენებული თვით ბუნებით იყო ნამდვილი პედაგოგი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. პედაგოგი არა მარტო თეორიით, არამედ პრაკტიკის დიდი მცოდნე... მშრალი პოლიტიკურ აზრების შეთვისებით ის არ კმაყოფილდებოდა. მას სურდა ახალი მცნება გაეტარა ცხოვრებაში; და ამ პროცესში იგი აშკარად ხედავდა ამ ახალ არსების ღირსებას და ნაკლსაც.

საერთოდ იოსებს უფრო ეინტერესებოდა პედაგოგიურ სფეროს პრაკტიკული მხარე.

ამიტომაც ის ბევრს საქმიანობდა და ცოტასა სწერდა, თუმცა მას წერაც ძალიან ეხერხებოდა.

იოსებ ოცხელის დედა აზრი შკოლის დანიშნულების შესახებ იყო **საღი, მიზანშეწონილი, ჭეშმარიტი.**

განსვენებულს ღრმად სწამდა, რომ შკოლის უპირველესი მიზანი — ახალთაობის **მოქალაქობრივი აღზრდა, მოქალაქობრივი განვითარება.**

თუმცა დრო და გარემოება მის უმაღლეს მისწრაფებას მუდამ ხელს უშლიდა, მიუხედავათ ამისა ის მაინც ანხორციელებდა ამ იდეას იმდენად, რამდენათ შესაძლებელი იყო ძველი რეჟიმის ხანაში.

რომ ეს მართალია, ამას თვით იოსებ ოცხელის მოწაფეები დაადასტურებენ. განსვენებულს ძალიან უყვარდა მოსწავლე ახალგაზდობა.

მამაშვილურის ალერსით ეექცეოდა მათ. დაშინებას, ხმის ამაღლებას, მაგარ და მკვახე სიტყვების თქმას ის მუდამ ერიდებოდა.

მოსწავლეთა ბუნების შეზღუდვა, მისი შებოჭვა განსვენებულს არა ნორმალურ მოვლენად მიაჩნდა. ძირითადი მისი აზრი ამ საგნის შესახებ გამოიხატება ასე:

თანამედროვე შკოლა ცდილობს მიაწოდოს მოწაფეს მხოლოდ ბევრი ცოდნა და ბევრი მეცნიერული მასალა — მეუბნებოდა იოსები, მე ასეთ მიმართულებას ვეწინააღმდეგები მთელი ჩემის არსებით და გეუბნები გადაჭრით: უპირველეს ყოვლისა საჭიროა, განვავითაროთ მოწაფეებში **თავისუფალი** მსჯელობის უნარი, ჩაუნერგოთ მას სწავლისადმი ინტერესი, გავაფართოვოთ მისი აზროვნული ჰორიზონტი, განვავითაროთ კრიტიკული ნიჭი ჭეშმარიტ აზრს ემსახურებოდა დაუვიწყარი იოსებ ოცხელი!.

დიახ, ვამბობ მეც, შკოლაში მეცადინეობის დროს უნდა მეფობდეს თავისუფლება, რასაკვირველია შეგნებული თავისუფლება და არა ისეთი აღვირახსნილობა, როგორიც საუბედუროდ სუფევს ჩვენ შორის ამ გარდამავალ ხანაში.

ჩაუკვირდით საღი ბავშის ბუნებას და თქვენ დარწმუნდებით, რომ იოსების და მისი თანამშრომელთა აზრი ღრმა საფუძველზე დამყარებულია.

მოიგონეთ მოწაფე-ბავშის ყოველ დღიური ცხოვრება — მისი თამაშობა, ლაპარაკი, სწავლა, იგი მთელი დღე მოძრაობს კითხულობს, სწერს, ცდილობს გაიგოს ახალი რამ, სხვადასხვა კითხვებს აძლევს. ცდილობს გახდეს დიდი ადამიანი, განვითარდეს და დამწიფდეს. ამ დროს იგი თანდათან იზრდება ფიზიკურად და ვითარდება გონებრივ: ითვისებს აზრებს, იძენს გამოცდილებას. ასეთ პროცესში **თავისუფლად** მოპოვებული ბავშის მიერ აზრი და გამოცდილება მისთვის ყველაზე უფრო საგულისხმოა, ძვირფასი და დაუვიწყარი.

ამიტომაც — ამბობდა განსვენებული, ნამდვილი პედაგოგი, აღჭურვილი მეცნიერული ცოდნით, დიდ ანგარიშს უნდა უწევდეს მოწაფის **თავისუფალ განვითარებასა.** დიახ, დიდი მოვალეობა აწევს კისერზე ყოველ მასწავლებელსო და ზედმიწევნით მას აასრულებს მხოლოდ ის, ვინც განსჭვალულია უანგარო სიყვარულით ახალთაობისადმიო. მასვავლებელი მოვალეა შეისწავლოს მოწაფის ხასიათი, მისი პსიხოლაგია. მან მოწაფეს უნდა განუვითაროს საზოგადოებრივი გრძნობა, ჩაუნერგოს მას ხალისი მუშაობაში და ასწავლოს მოვალეობის ასრულებაო.

და ყველა ეს უნდა მოხდეს არა შიშით, არა ბძანების ძალით, არამედ თვით მოწაფის შეგნებულ აზრითო.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ასეთ უმაღლეს მიზანს ემსახურება ახალი შკოლა ევროპის და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში. ასეთივე პრინციპები მიიღო განათლებულმა იაპონიამაც.

იაპონური პედაგოგები ამბობენ: ის მოწაფე, რომელის გონება დატვირთულია **მხოლოდ ცოდნითა** და რომელმაც ვერ შეითვისა ძირითადი აღზრდის მოთხოვნილებანი, უსარგებლო ადამიანი გამოვა და საზოგადოებას მეტ ტვირთად დააწვებაო.

მართალია, ყოველ ცოდნას თავისი განსაზღვრული ღირებულობა აქვსო, მაგრამ ამ ღირსებულების ფასი უფრო დიდია მაშინ, როცა ცოდნით შეიარაღებული ადამიანი ამავე დროს მტკიცე ხასიათისაა, მოვალეობის აღმასრულებელი და ზნეობის მხრით ფაქიზიო.

მართალია, ახალი შკოლის მოწაფეს დიდ მეცნიერულ მასალას არ აძლევს, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფალ ატმოსფერაში აღზრდილი მოწაფე უფრო მალე ვითარდება ყოველ მხრივ, მოვალეობის ასრულებაც ეადვილება და სწავლის ინტერესიც ემატება.

ეს ისეთი დადებითი თვისებებიაო, ამბობდა იოსები, რომელიც მოწაფეს, როგორც მომავალ მოქალაქეს, ცხოვრებაში ძალიან გამოადგებაო.

მიაღწია სავსებით თავის მიზანს განსვენებულმა? არა რატომ? იმიტომ, რომ წინ გადაეღობა ბევრი ისეთი დაბრკოლება რომელიც ვერ გადალახეს ვერც ენერგიანმა იოსებმა და ვერც მისმა ვიტყვი თამამად, ღირსეულმა თანამშრომლებმა ჩვენი შკოლა ქონებრივად **მუდამ ღარიბი იყო.** თუ კი სასწავლებელი ამ მხრით არ არის უზრუნველ ყოფილი, იქ ადვილად საქმე ვერ მოეწყობა.

მეორე დაბრკოლება იყო — ძველი მთავრობის სასტიკი კანტროლი. იგი ჩვენი შკოლის მოსპობაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე მის კეთილდღეობაზე. მესამე დაბრკოლება უფრო აღსანიშნავია: ესაა მოწაფეთა სიმრავლე.. ასეთი მრავალრიცხოვანი გიმნაზია მთელ რუსეთში იშვიათი იყო — 1,200 მოწაფე! და განა ასეთ პირობებში შეიძლება პედაგოგიის უკანასკნელი სიტყვა განხორციელდეს?

მიუხედავათ ამისა, იოსებმა შესძლო დაემყარებია აქ ისეთი ატმოსფერა, რომელსაც სხვა შკოლები იმ დროს მოკლებული იყვენ.

ის ტრადიციული კეთილ განწყობილება და ნათესაური ურთიერთობა, რომელიც აქ სუფევდა მასწავლებელ და მოსწავლეებს შორის მან შეითვისა და უფრო განავითარა იგი. ამიტომაც ჩვენი გიმნაზია ანდამატივით იზიდავს იმ მოწაფეებს, რომელნიც ძველი სასკოლო რეჟიმის სხვერპლნი ვახდენ.

განა იოსებს არ შეეძლო, არავინ არ მიეღო ჩვენ გიმნაზიაში **უვაკანსიობის გამო.** მაგრამ მან სხვა გზა აირჩია; ის იღებდა ისეთ მოწაფეებს და საბუთიც ჰქონდა ამისი.

იმ დროს დაიხურა ქუთაისის სასულიერო სემინარია. მოწაფენი მოაწყდა ჩვენ გიმნაზიას. იოსებმა მიიღო იგინი. იმავე დროს სხვადასხვა შკოლები ითხოვდენ მოწაფეებს ხშირად უბრალო მიზეზების გამო: იმან პაპიროსი მოსწია, იმან თავი არ დაუკრა მასწავლებელს, ერთმა დააშავა ის, რომ აღკრძალული წიგნი წაიკითხა, მეორე კრებაზე დაესწრო, მესამემ — მურომცევის ხსოვნას პატივი არსცა, მეოთხე — ჩაეწერა პარტიაში და სხვა ამგვარი..

ასეთ დევნილ მოწაფეთათვის ჩვენი გიმნაზია შეიქნა თავ შესაფარი: იოსებში ჰპოვეს მათ თავისი კეთილმყოფელი და გზის მაჩვენებელი.

საერთოდ განსვენებული ყოველ მოწაფეს თავისიანს ან და ახლად მიღებულს ეპყრობოდა ლმობიერად და კეთილშობიერად. ასეთივე იყო მისი მოპყრობა თავის მასწავლებლებისადმი.

დაუვიწყარო ამხანაგო იოსებ! უკანასკნელ გამოთხოვების დროს, გულწრფელად ვამბობ, რომ შენთან სამსახური იყო ადვილი, ყველას ეპყრობოდი მეგობრულად. იყავ ნამდვილი ჯენტლმენი ამ შენ თვისებას არავინ დაივიწყებს... 30 წლის მოღვაწეობამ დაასუსტა შენი ისედაც სუსტი გული, მაგრამ მანვე მოგანიჭა ღირსეული სახელი კეთილი ადამიანისა და იშვიათი მასწავლებლისა... გვაპატიე თუ რიმიმე გაწყენიეთ. დაიძინეთ ტკბილად. გახსოვდეს, რომ ხსენება შენი ჩვენ შორის წმინდა იქნება მარადის.

საგზლოვიარო მოგონება.

ორმოცი დღე გავიდა მას აქეთ, რაც ქართველობამ შავმიწას მიაბარა ქართველი პესტალოცი — იოსებ ოცხელი. კიდევ ბევრი ორმოცი გაივლის მაგრამ მისს ყოფილს მოწაფეებს და თანამოსამსახურეებს მისს სამშობლოს ამ აუნაზღაურებელ სიკვდილით გამოწვეულ ჭრილობის სიმწვავე კიდევ დიდ ხანს არ გაუნელდებათ და არ დაავიწყდებათ.

მისი პირადი მეგობრები და თანამოღვაწენივე არამარტო საპედაგო ასპარეზზე, სხვაგანაც ღრმად გრძნობენ სიცალიერეს სწორედ იქ, სადაც მათთვის საიმედო და ზნეობრივ ბურჯად იდგა განსვენებული მოღვაწე.

ყველა მიმხვდარია, რომ ხელიდან გამოგვეცალა მომხიბვლელი ადამიანი, რომელსაც მდიდარი კულტურული სული ედგა, სული კეთილ მოქმედებისა და მეზობელთა მიმზიდველი ღირსებით შემკული; გამოგვეცალა ხელიდან ისეთი ადამიანი, რომელიც დაჯილდოვებული იყო ბუნებრივი ფაქიზით და სათუთი გრძნობებით, რომელსაც შეემუშავებია უმაღლესი ტაქტი, ზრდილობა და თავაზიანობა, — რომელიც ცხოვრების წვრილმანობას თითქო არც კი იმჩნევდა, მაგრამ შესაძლებელია, მისი ნაზი გული ამ წვრილმანობით ნელ ნელა დნებოდა კიდეც.

მოგვშორდა ისეთი ადამიანი, რომელიც დაჯილდოვებული იყო შინაგანი კეთილშობილებით, რომელსაც შეუმუშავებია ცხოვრებაში იშვიათი ნიჭი ავის დავიწყებისა და მიტევებისა, რის გამო გუშინ მის სამტროთ გამზადებული ვინც უნდა ყოფილიყო ხვალ და ზეგ უთუოდ მის ერთგულ მეგობრებად ხდებოდა. მოგვშორდა მოღვაწე ოვიანი ინიციატივისა, მედგარი შრომის მოყვარეობისა, მოღვაწე, რომელსაც ბავშობიდან შეზრდილი ჰქონებია მხურვალე პატრიოტიზმი დი სააღმრზდელო ხელოვნების გემო. მოისმინეთ (კათ. პატ.) დონდამიანეს სიტყვა, წაიკითხეთ იოსების ნამოწაფარის სტუდენტ დონდუას (სოც. დემოკრ.) ნათქვამი რომელიც დაბეჭდილი იყო „ჩვენს ქეყანაში“ და სრულიად საკმარისია მის დასახასიათებლად, თუ რა საღი და გონიერი პატრიოტიზმით ყოფილა შეპყრობილი ბავშობიდან და რა მამობრივი აღმზდელი ყოფილა ახალი თაობისა.

და ასეთი პედაგოგი და მოღვაწე ქართველთა სამწუხაროდ სწორეთ მაშინ დავკარგეთ, როცა მისი სიცოცხლე ჯერ კიდევ დაუფასებელი განძი იქნებოდა ჩვენი შკოლისათვის, რომელიც თავისუფალი შეიქნა და ახალს სააღმზდელო და საღს გასანათლებელს საკვებს მოითხოვს.

რამდენი მარგალიტი უნდა ამოვალაგოთ დღეს მისი ოც და ხუთი წლის საპედაგოგო ასპარეზზე მოღვაწეობისა!

ამ ასპარეზზე იოსების ხელმძღვანელი იდეა იყო-იდეა პესტალოცისა და ამ იდეის მიხედვით უნდოდა აეგო ჩვენში თავისუფალი, უუფლებო სასწავლებელი. დაიწყო კიდეც:

მისი ახალი, პაწია შკოლა მალე აივსო მოწაფეებით.

წმინდა ნინოს სასწავლებელში გარუსებული ჩვენი „ბარიშნები“ დიდი ხალისით თხოულობდენ აქ მასწავლებლის ადგილს.

განსვენებული ცოცხალი მაგალითი და მასწავლებელი შეიქნა, როგორც მოწაფეთა, ისე მასწავლებელთათვის; მასწავლებელთ მან ჩაუნერგათ სული კარგი, საღი პატრიოტი მასწავლებელი ქალისა და დედისა. რამდენადაც მახსოვს, ამ ჯგუფიდან გამოვიდენ საუკეთესო დედები, ოჯახის მასწავლებელნი და შკოლათა საუკეთესო გამგენი და მასწავლებელნი.

განსვენებულს მიზნად დაესახა-ეს ნორჩი პაწია შკოლა მის მოწაფეთა და მასწავლებელთა განვითარებით იმ სიმაღლემდე აეყვანა, რამდიც მისი აყვანა კი შეიძლებოდა მაშინდელს პირობაში.

და სწორეთ ამ დროს აიძულა აუცილებელმა გარემოებამ იოსები, რათა მას დიდი მწუხარებით მიეტოვებია მისი საყვარელი პირმშო:

ქუთ. თავად აზნაურობა თავისი პროგინნაზიისთვის გამგეს ეძებდა.

მე და თ. შთავრიშვილი ამ დროს იოსების შკოლაში საღამოობით გაკვეთილებს ვაძლევდით.

საზნაურო პროგიმნაზიის მზრუნველმა კომიტეტმა მოციქულად მიგვაგზავნა იოსებთან, რათა თავისი შკოლა მიეტოვებია და საზნაურო გამგეობა ეკისრნა.

დიდი, მაგრამ ზრდილობიანი უარით გამოგვისტუმრა: ქუთაისის და თბილისის საზნაურო პროგიმნაზიებში ჩემზე უფრო გამოცდილი მასწავლებლებია უთუოდ და იმათ ჩაბარონ გამგეობა, მე კი აქ ვიმუშავებ ჩვეულებრივ და ამ შკოლის ნაყოფიც ხომ ქვეყნის შესაძენი იქნება, თუ-

ღმერთმა კი ინება და დასახულს მიზანს მივაღწიეო.

კომიტეტმა მეორეთ მიგვაგზავნა და კირილე ლორთქიფანიძეც გაგვაყოლა (მზრუნვ. წევრი): კირილემ გრძელი სიტყვით გასტეხა იოსების უარი, და თანხმობა მივიღეთ.

ეშინოდა, ვაი, თუ საზოგადოების იმედი ვერ გავამართლოვო, მაგრამ ზემოხსენებული მისი თვისებების მეოხებით იოსებმა მოლოდინს გადააჭარბა:

შკოლაში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის სრული ნდობა ჩამოვარდა, მღელვარების ჭაჭანი აღარსად იყო. სასწავლებელი შეიქნა ერთ კეთილ-განწყობილ-ოჯახად, სადაც მასწავლებელნი კეთილ შამობას ეწეოდენ და თანასწორთა შორის იოსები პირველობდა და შკოლას ნიჭიერად ხელმძღვანელობდა.

აქ იფურჩნებოდა და მწიფდებოდა განსვენებულის პედაგოგიური და მოქალაქეობრივი ქველობა. **ეს შკოლა შეიქნა მისი აკვანიც და მისი უდროვო სამარეც.**

და ასე იშიტომ მოხდა, რომ ამ სასწავლებელში ფეხის შემოდგმის შემდეგ 20 წლის განმავლობაში თავგადადებულ მასწავლებელს არ დაუსვენია: შკოლა დღითი დღე იზდებოდა, კლასი კლასს ემატებოდა, განყოფილება განყოფილებას; ყოველი სასწავლებლიდან ახალგაზდობა ჩვენს გიმნაზიას აწყდებოდა; ახლა ბინის შოვნა და გაფართოება იყო საჭირო.

ადგილისა და სახლის შეძენა დიდს ბროპაგანდას თხოულობდა, რომ ჩვენს თავადაზნაურობას ისეთი საქმისათვის ხელი მოეკიდა. აქ თვისი ტაქტის წყალობით მომხრეები იშოვა და ახლა ყველა ხედავს, რა ძვირფასი განძი უანდერძა ჩვენს ერს თავადაზნაურობამ ამ სახლისა და ეზო გარემოს სახით.

ამას შოჰყვა ზრუნვა იმის შესახებ, რომ სასწავლებელში მარტო უსულგულო საეხელმძღვანელოების ზეპირობა არ ყოფილიყო. საჭირო იყო ამ რუტინის დაძლევა და ახალი ტრადიციის შემქნა. მასწავლებელთა შორის შემქნა ისეთი მოხალისეთა ჯგუფი, რომელნიც ამზადებდენ საუბრებს, ლექციებს რეფერატებს; ეგენივე აძლევდენ მაღალი კლასების მოწაფეებს თემებს, და თვით მოწაფეები, სწერდენ რეფერატებს, საუბრებს, აწყობდენ სამუსიკო საღამოებს, წარმოდგენებს, ერთი სიტყვით, სასწავლებელი სიცოცხლით აივსო; იგი საინტერესო შეიქნა მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მათ მშობელთა და საზოგადოებისათვის: ყველას უხაროდა სწავლა, სწავლება და სასწავლებლის დათვალიერებაც.

ამასთანავე საჭირო იყო იმ ავი რეჟიმის დროს სასწავლებელისათვის უფლების მოპოება, კურს დამთავრებულებისათვის ატესტატების მიღება.

ამასაც ხომ დიდ თავიანობა ეჭირვებოდა, დიდი ტაქტი და მოხერხებულ მუშაობა, რომ მუდამ სამტრედ გამოგზავნილ დეპუტატებს ხელის ჩასაჭირებელი საბაბი არ გამოეძებნათ და ეგზამენები არ ჩაეშალათ.

ვის არ ახსოვს კორიკის ვერაგობა, რამაც სასწავლებლის დახურვაც კინაღამ გამოიწვია და შკოლის მეთაურების ერთბაშად სასწავლებლიდან განდევნა.

სასწავლებლის კარგსა და ავში იოსებს უთუოდ ცენტრალური ადგილი უნდა ჰკავებოდა, უთუოდ მისი ხელით და შრომით უნდა მოპმოდა თავი ყოველს სასიკეთო ინიციატივას და მისივე ხელით უნდა დარღვეულ იყო სასწავლებლის საქნებლად გასკვნილი ხლართი.

ასე მუშაობითაც არ კმაყოფილდებოდა მოუსვენარი მუშაკი. დაჰბერა თუ არა ჩვენი თავისუფლების მომტანმა ქარმა, გადიგდო თუ არა ტყვეობის უღელი ჩვენმა სასწავლებელმა, იოსები მაშინვე შეუდგა ქართული შკოლის განაცხონალებას, გაეროვნებას. მან შეადგინა („განათლების") გამომცემლობის ამხანაგობა. მთელ წელიწად-ნახევარს მისი სახლი წარმოადგენდა მთარგმნელთა და შემდგენელთა სამუშაო დარბაზს; აქ ნათარგმნი სწორდება, იქ შედგენილ ირჩევა, ერთს მაგიდაზე მხატვრები სურათებს არჩევენ, მეორეზე კლიშეებს ალაგებენ. იოსები ხან ერთთან მივა, ხან მეორესთან, რათა შესაფერი შესწორება შეიტანოს, ნაკლი შენიშნოს.

ასეთმა შრომამ დიდი ნაყოფი მოიტანა! დღეს ამ ინიციატივამ ჩვენ სასწავლებელებს საშვალო და მდაბალი სასწავლებლები თავიდან ბოლომდი გაუეროვნა.

დაიღალა შეუპოვარი მუშაკი ამდენი შრომით და უნდოდა ცოტა ხანს მოესვენა, მაგრამ ორჯერ გაუმეორა მასწავლებელთა წრემ გულითადი თხოვნა, თუნდ ხანდახან შემოეკლო სასწავლებელში.

კედლებიც კი გაიცინებდა, როცა, სამი ოთხი დღის დასვენების შემდეგ, სასწავლებლის ეზოში ფეხს შემოადგამდა. იოსებს გარს ეხვეოდენ მოსწავლეები, მასწავლებლები. და სტუმარსა და მასპინძლებს საერთო კმაყოფილების და სიამოვნების ღიმილი ემჩნეოდათ.

ამ მოკლე დასვენების დროსაც ვერ მოახერხა უსაქმოდ ყოფნა: საღამოობით მუშაობდა ჩემთან და დ. ოყრეშიძესთან „მნათობის" შედგენისათვის და თან ადგენდა სიას იმ წიგნებისას, რომელიც უნდა გამოცემულიყო მოსწავლე ახალგაზდობის საკითხავად.

ასეთმა ხანმოკლე დასვენებამ კარგი გავლენა იქონია იოსების სიმრთელეზე და ახალი ენერგიით აპირებდა განახლებულ სასწავლებელში მუშაობას და სწორეთ ამ დროს მოსწყვიტა საუკეთესო შვილი ქართველ ერს სულ შავმა სიკვდილმა, რომელმაც დაიობლა ქედ მალალი ქართული 2 გიმნაზია.

ძვირფასო იოსებ, პირნათლად წარსდგები ჩვენ ქვეყნის გარდაცვალებულ საუკეთესო შვილებთან. შენ მოგტირის არა მარტო გულდამწვარი დედაშენი, მამები, დები და ნათესავები, არამედ მთელი ქართველი ერი და ყველა ისინი, ვისაც შენთან ოდესმე უმუშავნია, ვისაც შენთან რამე საქმე გაუკეთებია; შენ ერთნაირად მოგტირის ყველა პარტია, რადგანაც ყოველი პარტიის წევრთან ერთნაირი გულწრფელობით შეგეძლო მუშაობა, თუ იგი კარგი ქართველი გამოდგებოდა.

შენ მოგტირს შენგან დაობლებული, შენი გულით მეგობარი

სამსონ ყიფიანი.

თ ე ა ტ რ ი.

„აღლუმი"— ვ. გუნიასი. მარო მდივნის 20 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად შაბათს, 3 მაისს.

მარო მდივანი!

ამ სახელის ხსენებაზე თვალწინ წარმომიდგება ენერგიით სავსე ქართული სცენის მსახიობი ქალი.

დაუღალავი მუშაობა და ერთგული მსახურება და მინდა, საქმისადმი—აი რა ახასიათებს მარო მდივანს.

იქნებ ვინმეს ეუცხოოს ჩვენი აზრი, მაგრამ როდესაც მარო მდივნის მსახიობურ ნიჭის შესახებ ვისაუბრებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ მსახიობი ქალი განსაკუთრებულის ნიჭით დაჯილდოვებული არ არის.

შემომქმედი, ძლიერი ძალა მასში მცირეა.

მარო მდივანი მოკლებულია იმ საჭირო ტემპერამენტს, რომელიც აუცილებელია ისეთი მსახიობი ქალისათვის, რომელიც შექსპირის დეზდემონას განსახიერებას კისრულობს.

განცდა, განცდა ღრმა და ლამაზი მარო მდივნის არსებაში ვერ არის სახიერი. როლის დრამატიზმით ვერ იწვის მსახიობი შესაფერისად და ვერც მსმენელს სწვავს იგი.

სულ სხვაა, როდესაც თვით გმირის მდგომარეობა იწვევს მაყურებელთა შორის სენტიმენტალურ ამოძახილს, კვნესას და ტირილს, მაგრამ სულ სხვაა მსახიობის მიერ შექმნილი განცდა, წვა და ტრაგიზმი.

ჩვენ მრავალ როლებში გვინახავს მარო მდივანი, მაგრამ მის მიერ განსახიერებულ როლთა გძელ წყებიდან მხოლოდ ერთი როლი დაგვრჩენია ღირსეულად განცდილი და გადმოცემული ეს არის „ქრისტინე".

ეს როლი მარო მდივნის „конек"-ია როგორც რუსები იტყვიან ხოლმე.

ჩვენ გვახსოვს მისი ოლ-ოლ, დეზდემონა, სონა და მრ. სხვა, მაგრამ ისინი შესრულების მხრივ მეტად ერთფეროვანნი იყვნენ და მოკლებულნი როლის აუცილებელ შემეცნებას.

თუ რომ ეს აუცილებელი—განცდა, როგორც საჭირო დრამატიული მსახიობისათვის არ არის საჭირო ძალის მასში, აქ რასაკვირველია ბუნებაა დამნაშავე, და მარო ხომ ხელოვნურად ტემპერამენტს ვერ წარმოშობს.

მეორე მხრივ, როგორც ღირება მარო მდივნისა, ეს ყოველი როლის სიყვარულით განსახიერება და მის განსახიერებისათვის მასში არსებული ენერგიის და ძალის დახარჯვა.

მარო მდივანი როლისათვის ყოველივეს გაიღებს, ყველაფერს ჩაიდენს, ოღონდ პიესის მთლიანობას და ანსამბლის მწყობრ მსვლელობას ხელი შეუწყოს.

„აღლუმის" არჩევა ვერ უნდა ჩაითვალოს მსახიობისათვის მიზანშეწონილად.

ნუცას როლის განმარტებაში მარო მდივანი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩემს აზრს.

ნუცას როლისთვის მსახიობი ქალი შესაფერისი და საინტერესო იქნებოდა ათი წლის წინედ, დღეს კი ის მეტად მძიმეა ამ ცქრიალა და სწრაფად მოძრავ გოგონასათვის.

ნუცა ეს მთელი სიცოცხლეა პიესის, რომელიც როგორც „ჯარა" ტრიალებს. (თავადი პეტრეს სიტყვით რომ ვილაპარაკოთ). ქ-ნი მდივანი კი სავსებით ვერ დაუახლოვდა ამ საჭირო სიმჩატეს და სისწრაფეს, მან ვერ მოგვცა ეს ცქრიალა ნუცა, მხოლოდ სჩანდა, სჩანდა აშკარად, რომ მსახიობი ქალი მეტის მეტად ცდილობდა დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას და აღებულ ტიპთან დაახლოვებას.

მარო მდივანმა ყოველი ძალა იხმარა და ჩვენ ამისათვისაც მადლობელი ვართ.

პიესაში თითქმის ყველა მსახიობები იღებდა მონაწილეობას, გარდა ამისა მე მინდა მათ შესახებ რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა.

თუ თვით მარო მდივანი თავის წარმოდგენაზე ვერ ქმნიდა საჭირო პათოსს, სამაგიეროდ მთელი პიესა ინტერესით დასრულდა, რამოდენიმე მსახიობთა წყალობით.

შაბათის წარმოდგენაზე გამარჯვებული დარჩა მ. ჭიაურელი, რომელმაც დაამტკიცა მსახიობური ინტელიგენტობა. მე მინახავს ჭიაურელი „სულელი"-ს და შემდეგ "იმერელი ფარმაცევტის" როლებში.

იქნებ ბ. ჭიაურელისათვის მეტად საყვარელი იყოს თავადი ბარათაშვილი (სულელი), მაგრამ ჩემის აზრით მ. ჭიაურელი, როგორც ნამდვილი მხატვარი—ხელოვანი „ვითაარცას" მოყვარულ „იმერელ ფარმაცევტის" განსახიერებაში უნდა იქნეს მიღებული. ავიღოთ მისი გარეგნობა.

გრიმი,—მე მგონია მთელ სეზონში არც ერთ მსახიობს არ შეუქმნია გრიმის შესაფერისობა ტიპთან ისეთი სიმხატვრით და სისწორით, როგორც მ. ჭიაურელმა „ფარმაცევტის" როლში. მხოლოდ გრიმის სისწორეში კრთის მშვენიერი ინტელიგენტობა მხატვარი ჭიაურელისა. მან გვითხრა ჩვენ, რომ მსახიობისათვის მარტო როლის დეკლამაცია არ არის საკმარისი, როლს უნდა გაგება, განმარტება, საჭიროა დინჯი მუშაობა ტიპთან დაახლოვებისათვის, რათა ის იქნეს სრული და მთლიანი.

ჩაცმულობაც სავსებით მისაღები ჰქონდა.

და სწორედ „იმერელი ფარმაცევტის" როგორც ტიპის დასურათების დროს, ჩვენ ერთი აზრი უნდა გამოვიტანოთ მართლადაც „ფარმაცევტის" გრიმიც ჩაცმულობაც ასეთი უნდა იყოს. აღვნიშნოთ, რომ ამ—როლში ჩვენ ნახავს ვასო აბაშიძე, ისიც საგანგებ მოწვეული, მაგრამ გამოტეხილად ვ. არებ, რომ გუნიას მიერ აღებულ ტ თან ვ. აბაშიძის „ფარმაცევტს" საერ ძლიერ ცოტა ჰგინდა. გრიმზე ხომ პარაკიც მეტია.

მ. ჭიაურელმა შაბათს თავისი თ დაახასიათა, როგორც მეტად ინტელიგ ტი მსახიობი, რაც სასიხარულოა.

პიესა „აღლუმში" საინტერესო ტ იყო ფილიმონ მსუბუქაშვილი, მას შ დგომ, რაც იგი აქ პირველად თვით გ ნიას მონაწილეობით იქნეს შესრულებ ლი.

ახლა კი, საინტერესო ტიპად გა „იმერელი ფარმაცევტი" ჭიაურელის სწ რი და მხატვრული გადაცემის შემწე ბით.

თუ წინედ „პრაპორშიკ" ფილიმ მსუბუქაშვილი იყო საინტერესო ტიპ ამის მიზეზად ვსთვლით ვ. შალიკაშვილ მის შემდეგ ეს როლი უკვე მკვდრად უ და ჩაითვალოს.

ჩვენ გვიყვარს ახალგაზდა მსახიობი ? გოშელაური თავის ამპლუაში, მაგრ ფილიმონ მსუბუქაშვილისათვის ის სუ ტია და გამოუსადეგარი. ჩვენ სიამოვნ ბით ვუმზერთ ახოვან ს. მურუსიძეს ქარ თულ როლების შესრულების დროს, ქ რთული „დრუჟინის" აფიცერის როლშ ის ერთხელ კიდევ სასურველად გაიმარ თა ჩვენ წინ და თავისი მოვალეობის შ სრულებით დაგვაკმაყოფილა, თუმც ხმის სისუსტე ხელს უშლიდა.

ყალაბეგიშვილის „გენერალი" ჩვენის აზრით ახალგაზდა იყო. თვით ავტორის შესრულებაში ის უფრო დინჯია, დარბა ისელი და ხანში შესრული.

რადა ვსთქვა მსახიობ კირილე მაჭარაძის შესახებ.

მე მგონია, როლი მსახიობისთვის შესაფერისი იყო, მაგრამ საუბედუროდ სრულებით ვერ დაგვაკმაყოფილა. საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ ეს მსახიობი ვერ ქმნის ინტერესს მისადმი, და არც გვაძლევს იმის საბუთს, რომ მას რომელიმე რთული როლის შესრულება შეუძლია.

მეტად არა სასიამოვნოდ ბგერას მისი ხმა სცენიდან და თავადი პეტრეს სიტყვებს ისე იმეორებდა, როგორც „მოშლილი გრამაფონი" მსახიობი ვერ ქმნის მსახიობის შთაბეჭდილებას და უფრო პროვინციალურ ამაყ სცენის მოყვარეს უახლოვდება, ვიდრე ქალაქის თეატრის მსახიობს. ბ. მაჭარაძის გრიმი ცირკის კლოუნების გრიმს უფრო ჰგავდა, ვიდრე ისეთს, რომელიც სცენისთვისაა მისაღები.

დასასრულ მსახიობის საყურადღებოდ შევნიშნავ რომ მოსაწყენია, როდესაც მსახიობი სრულ ერთ პოზაში დგას და სიტყვას ისე არ წამოიყვირებს, რომ ორივე ხელები ზეცისკენ არ აღმართოს..

კორიშელი თავის ადგილას იყო, მხოლოდ მსახიობმა იცოდეს, რომ აუდიტორიაში მსმენელი ქანდარაზე მარტო კი არ ზის, რომ ცირკის კლოუნივით გაკეთებული გრიმის სიუბნოვე ვერ დაინახოს...

დანარჩენ აღმსრულებლებზე დავდუმდები, რადგანაც ისინი ჩვეულებრივი იყვნენ და ანსაბლს ხელ რ უშლიდენ, მხოლოდ ს. ციმაკურიძეს შევნიშნავთ, რომ მსახიობმა მსმენელი უნდა აცინოს და არა თვითონ.

დასასრულ ჩვენ მივესალმებით მარო მდივანს და გამოვსთქვამთ სურვილს, რომ მას კვლავ ჩვეულ ენერგიით განეგრძოს მსახურება ქართულ დრამატიული ხელოვნებისადმი.

მ. ღვამიჩავა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

მსწრაფლმბეჭდავი „ძმობა" ბუშკინის ქუჩა სახლი გოკიელისა ქუთაისში.